ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №140

12 აპრილი 2013წელი ქ.ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10 პრიმა მუხლისა და 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის #9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ბ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ თვითმმართველი ერთეულის ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, მერის მოვალეობის შემსრულებელი ნიკო კაჭკაჭიშვილის სახით (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი -ქალაქ ქუთაისის მერის ბესიკ ბრეგაძის წერილი №01-2607, 12.04.2013, მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. № 3, ს/კ 212721170 ტელ: 4-54-54) (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ ინდივიდუალური მეწარმე ზაზა გრძელიშვილის სახით (მისამართი/რეკვიზიტები) ქ. ქუთაისი, გორკის ქ. №29, ბანკის კოდი 220101605, ს/კ 112766034, ს.ს. „ვითიბი ბანკის" ქუთაისის ფილიალი, ა/ნGE24VT0500000023963608 , (შემდგომში „მიმწოდებელი")

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 სიყვარულის დღესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიების მოწყობის ორგანიზება

1.2 ხელშეკრულების ღირებულებაა 15210 (თხუთმეტიათასორასათი) ლარი.

1.3 კლასიფიკატორის კოდი:79900000

2. მხარეთა ვალდებულებები

1.12.1 „შემსყიდველი" ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

შესყიდვის ობიექტის განხორციელების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანხმლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (ანგარიშ-ფაქტურა).

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

„შემსყიდველის" მხრიდან თვითმმართველი ქ.ქუთაისის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული „მიმწოდებლის" მიერ განხორციელებულ მომსახურებაზე. კონტროლს განახორციელებს ყოველდღიურად, *თანახმად საქართველოში მოქმედი ნორმების, სტანდარტების და წესების, რომლითაც დარღვევის შემთხვევაში გაწეული უფლება შეაჩეროს მომსახურება.*

4. გარანტია

„მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ განახორციელებს მომსახურებას მაღალ ეფექტურად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე.

5.2 მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს :

ა) ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების მოცულობა და ღირებულება

ბ) ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად ამოწერილი ანგარიშფაქტურა.

5.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო

5.4 ანგარიშსწორების ვადაა: დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღე.

5.5 მიმწოდებლის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი განახორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულების არაუმეტეს 30-50 პროცენტის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ იმავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.

6.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

6.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია მასზე ხელისმოწერის დღიდან 2013 წლის 25 აპრილამდე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 განხორციელებული მომსახურების დამტკიცებას ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.

8. ფასები

8.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

8.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

8.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის პირობებში.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები;

9.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

9.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის «ფორს-მაჟორი» ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული

შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 მიმწოდებელი ვალდებულია კანონით დადგენილი გადასახადების, გადასახდელების გადახდაზე.

ნიკო კაჭკაჭიშვილი
ქალაქ ქუთაისის მერის
მოადგილე, მერის მ.შ
(შემსყიდველი)

ზაზა გრძელიშვილი
ინდივიდუალური მეწარმე
(მიმწოდებელი)